




bsāwshob ðesāðj



Nº28 (209)

23 ገዢዎች, ሰምዎች, አጭርናት

2019 ພັບໂຕ

ხაშურში განახლებული რეფერალური ჰოსპიტალი გაიხსნა

კლინიკა 61 საწოლზეა გათვლილი და რეგიონის მოსახლეობას მრავალ-პროფილურ ამბულატორიულ და სტაციონარულ სერვისებს სთავაზობს. პოსპიტალში სრულფასოვნად ფუნქციონირებს შინაგანი მედიცინის, პე-დიატრიის, ნერვოლოგიის, მეან-გინეკოლოგიის, ზოგადი ქირურგიის, ანგიო-ლოგიის, პრექტოლოგიისა და უროლოგიის მიმართულებები. გაფართოვ-და ტრავმატოლოგიური სერვისიც. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება კი 24 საათის განმავლობაშია შზად, შემოსულ პაციენტს დახმარება გაუწიოს.

საშურის რეფერალური პოსპიტადი პაციენტებს კარდიოინტერვენციულ მიმართულებასაც სთავაზობს. კლინიკაში დაინერგა კათეტერიზაციის დაბორატორია, სადაც გულის სრულფასოვანი დიაგნოსტიკა-მკურნალობა ხორციელდება. ასევე, გაფართოვდა კომპიუტერული ტომოგრაფიის კვლევის საეჭრი. უკვე შესაძლებელია, რომ კომპიუტერული ტომოგრაფია ანგიორეგისტრიც განხორციელდეს. გარდა ამისა, ახალი სამედიცინო აპარატებით აღიძურა საოპერაციო ბლოკები და რადიოლიგიური სამსახური. მათ შორის, ულტრათანამედროვე ანგიოგრაფის აპარატი სისხლძარღვების რენტგენოლოგიური გამოკვლევის შესაძლებლობას იძლევა.

ხაშურის ორეთა დაური პოსტიტალი ადგილობრივი და მოწვეული ექიმების გუნდით არის დაკომპლექტებული. „ევექსის“ ქსელის მოწვეული საეციალისტები რეგიონში პერიოდულად ჩამოდიან და ოპერაციებსა და სხვა-დასხვა მანიპულაციას ახორციელებენ.



სოფელ ცხეთიჯვრიდან სოფელ წალვლამდე
გზის მოასთავალტების სამუშაოები დაიწყო

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის მოსწორება. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 3 კილომეტრ ნახევრიანი ასფალტის საფარის დაგება.

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, საქრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენლები პროექტის მიმდინარეობას ადგილზე ეცნობოდნენ.

ცხეთიჯგრიდან წაღვლამდე გზის მოასფალტების სამუშაოები თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი ორწლიანია და მისი ჯამური დორებულება 2 947 999 ლარს შეადგენს.

აღნიშვნული პროექტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ, ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლების მცხოვრებლებს საყოფაცხოვრებო პირობები მკეთრად გაუუმჯობესდებათ.

აღონიშვილი ერთ კვირაში დასრულდება

საშურის მუნიციპალიტეტში უკვე ათი დღეა ალობა მიმდინარეობს. როგორც
ვენობან საუბარში ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების
ააგენტოს“ ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარმა
პერიალისტმა ჯემალ გელაშვილმა განაცხადა, მუნიციპალიტეტის საგარ-



გულებში დათესილი
მარცვლოვანი გულ-
ტურქის 60 პროცენ-
ტი უკვე დაბინავებუ-
ლია. წელს, მთლიანად,
მარცვლოვანთა ნა-
თესებს 2500 ჰექტარამ-
დე ფართობი ეყავათ.
აქედან, ხორბალი
2200, ხოლო ქერი 300
ჰექტარზე იყო დათე-
სილი. აღსანიშნავია,

ხაშურში, ლომიურის ქუჩაზე, მხარეთმეტ-
ნეობის მუზეუმისთვის ფონდსაწვი ენცოდა

ფონდსაცავის რეაბილიტაციის სამუშაოები, 17 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, ხაკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა, მერის მოადგილემ ზურაბ როსებაშვილმა და ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

საშუალის მხარეთმცვლეობის მუზეუმის სამეცნიერო ფონდში 100 000-ზე მეტი ექსპონატია დაცული, სივრცის არარსებობის გამო, ექსპონატების უმეტესობა არასათანადო პირობებშია განთავსებული, არსებული შენობა კი მათ საიმედო ძენია ხვას და მოვლას უზრუნველყოფს.

ფონდსაცის მშენებლობისთვის 133 920 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან კამოიყო.

პროექტის მიხედვით, სამუშაოები სექტემბრის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.



რომ შარშანდელთან შედარებით, წელს აღოობა ორი კვირით ადრე დაიწყო. 12 ივლისს პირველი შერჩევითი აღება მოხდა, 17 ივლისიდან კი მასიური აღება დაიწყო. სულ 10 კომბაინია ჩართული აღოობა-2019-ში, თუმცა ახლა, დამატებით, კიდევ ოთხ კომბაინს ველოდებით, რომელიც კახეთიდან შემოვა. უნდა ითქვას, რომ 10 კომბაინიდან 7 ადგილობრივია, რაც მისასალმებელია. უფრო მეტიც - აქედან სამი კომბაინი საკუთრებაშია, რაც ვერმერებმა მთავრობის აქტიური დახმარებით მოახერხეს. ეს არის გერმანული, „კლასის“ ტიპის კომბაინები, რომლებიც მაღალი ხარისხით გამოიჩინებიან. ამჟამად, რამდენიმე ვერმერს აქვთ სურვილი ჩაერთონ სახელმწიფო გრანტების პროგრამაში და მომავალი წლისათვის საკუთრებაში არსებული კომბაინების რიცხვი,

სავარაუდოთ, კიდევ მოიმატებს.
რაც შეეხება საშუალო მაჩვენებელს, კარგი შედეგია – ერთ პექტარზე ხორბალი 3 ტონა და ქერი - 2 ტონა. თუმცა არის რეკორდული მაჩვენებელიც. მაგალითად, ხოველ ვაჟაში ფერმერმა იღია მაჭარაშვილმა პექტარზე 6-7

„ალორბა – 2019” – როგორც ბატონიშვილის ჯემალმა განაცხადა, ერთ კვირაში თასწორობა

უურნალისტებსაც გეგუას გამორჩეული რესპონდენტები, რომლებიც ბევრი სხვადასხვა მიზეზით გვამახსოვრებენ თავს. შაკო დათიაშვილთან ჩემი პროფესიული ურთიერთობა ოთხ წელს ითვლის, როდესაც შაკო ეთიოპის ფედერაციულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ელჩის მრჩეველი იყო.

მაშინ ჩემი საუბრის თემა ეთიოპია იყო, დღეს ისევ მომეცა შესაძლებლობა შაკო ჩემი რესპონდენტი იყოს და იმ 19 წელზე ვისაუბროთ, რომელიც მან საგარეო საქმეთა სამინისტროში გაატარა.

-შაკო, როგორ დაიწყო შენი დიპლომატიური კარიერა?

-სრულიად შემთხვევით დაიწყო ქვეყნის დამთავრების შემდეგ, აზისა და აფრიკის ინსტიტუტში ჩავაბარე არაბული ენის ფაკულტეტზე.



ბოლო წლები სირიაში ვისწავლე, ჩამოსვლის შემდეგ, საქართველოში დავამთავრე ექსტერნად. ამის შემდეგ იყო ასპირანტურა მეცნიერებათა აკადემიაში. სწორედ მაშინ, ჩემი მეგობარი დამიკავშირა, რომელთან ერთადაც სირიაში ვისწავლობდი და საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, მითხოვა, რომ ადგილი თავისუფლდებოდა და თუ მაინტერესებდა. 2000 წლის ბოლო იყო, ამიყვანებს სტაუტორად და მთელი სამი წლის მანიდლზე დროებით ვმუშაობდი. ამის მერე უკვე ეგვიპტეში დავინიშნე. თუმცა ეს ჩემი პირველი ვიზიტი არ იყო ეგვიპტეში. კაიროს უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით წავედი, ჩემი მიზანი მხოლოდ ენის სწავლა არ იყო, დავდიოდი ამერიკის უნივერსიტეტში სადისერტაციო თემების მასალებისთვის.



- ეს ის პერიოდია, როცა ქვეყანას აქტიური საგარეო ურთიერთობები არ აქვს, გაცვლითი პროგრამებიც ძალიან იშვიათი იყო...

-ნამდვილად. ამასთან დაკავშირებით, ერთი ისტორია მახსენდება. სირიიდან დაბრუნებისას, ავტობუსს, რომლითაც გბრუნდებოდით, ხაშურში უნდა გამოავლო, ბევრი წიგნები მომქონდა და გადავწყვიტე ტაქსით აგსულიყვავი სახლამდე. ძალიან დადღილი ვიყავი, მდროდა შემატებით გადავწყვიტე ტაქსით არ გადავწყვიტე. კარგი, თუ გინდა, ნურაფერს მეტყვიო-ვერა საუბრის გაგრძელება არ მინდოდა და ვიშორებდი, იმდენად არარეალურად ეწვენა ჩემი პასუხი.

- ეგვიპტიდან იწყება შენი დიპლომატიური კარიერა?

-კაიროში ვიყავი მეორე მდივანი, ჩემი დიპლომატიური საქმიანობა სწორედ კაიროს უკავშირდება. 2007 წლამდე კაიროში ვიყავი. აქ ყოფნა ბევრი რამის

გამოა მინიშვნელოვანი, იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, ჯვარიც იქვე დაგვწერა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის მართლმადიდებელმა პატრიარქმა. ჩემთვის კაირო და მთელი აღმოსავლეთი ძალიან მნიშვნელოვანია,

რადგან სკოლის დამთავრების შემდეგ, ყველაზე დიდი პერიოდი სწორედ აქ გავატარე.

- რამდენადც ვიცით, ამ პერიოდიდან ევროპამაც „გამოიხედა“ შენგენ...

- კაიროდან დაბრუნების შემდეგ, მომავალმა ელჩმა, ზვიად ჭუმბურიძემ შემომთავაზა, რომ გიორგი კაჭარავასთან ერთად, უნგრეთშიც ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, ჩემი პირველი შეიღი განჩდა. უნგრეთის ერთ-ერთ ქალაქში, აპირებდნენ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის ძეგლების დადგმას, მოხდა ისე, რომ ბერძნიშვილის მიერ გამოქანდაკებული რუსთაველის ძეგლი ერთ-ერთი პირველი დაიგდა. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, პროექტი აღარ განხორციელდა და ამ პარტი შემორჩა შოთა რუსთაველის ხუთმეტრიანი ძეგლი. ჩემი ელჩის, ზვიად ჭუმბურიძის ძალიან დიდი ძალის ძმენით და ქალაქის მერის დახმარებით, ამჟამად ეს ძეგლი დგას ბერძნებული ში, პრესტიულ ადგილის, მის უკან საქართველოს საელჩო. ეს ფაქტი ძალიან საამაყო ჩემთვის. 2009 წლის იანვრიდან 2012 წლამდე ვიყავი უნგრეთში. ამ დროს გაისხვა ეთიოპიაში საელჩო და მომიწია დაბრუნება საქართველოში ახალი მისის შესასრულებლად.

- ეთიოპია, როგორც მასხსოვი ის ქვეყანა, რომელიც დღემდე ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა შენთვის...

- 2012 წელს ეთიოპიაში წავედი. ძალიან კარგად მახსენდება, რადან საელჩოს



გაისხაში მეც მივიდე მონაწილეობა. სამი ადამიანი წავედით, ელჩი ვახტანგ ჯაოშვილი, ცინანსური მენეჯერი ამბორისი თითბერიძები და მე. მაშინ ეთიოპიასთან დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობდა, უნგრეთისგან განსხვავებით, არც რაიმე ტიპის გამოცდილება გვქონდა, არც ინფორმაცია-ყველაფერი დასალაგებელი იყო და ამიტომაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობების ქვეშ ვიყავთ. იქ დაგვხვდა ქართველი ოჯახი, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია, ქალაქი გვაჩვენა, ქცევის წესები გვასწავლა, ბევრი ტექნიკური საკითხი იყო მოსაგვარებელი. ეთიოპიაში ჩემი ვიზიტი ოთხ წელს გაგრძელდა, აქ უკვე ელჩის მრჩეველის სტატუსით ვიყავი.

2016 წლის 1 სექტემბერს წავედი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ერთადერთი თანამშრომელი ვარ საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელსაც ერთ კონტინენტზე, ყველა საელჩოში მაქს ნამუშევარი, დავიწყე ეგვიპტეში და ჩავდი სამხრეთ აფრიკაში.

ძალიან საინტერესო ქვეყანაა, დიდი ისტორიით და კულტურით. ძალიან განსხვავდება იმ ქვეყნებისგან, სადაც აქმდე მიმუშვიდა.

- როდესაც კარიერას იწყებდი, გიფიქრია, რომ შენი ცხოვრება ასე საინტერესოდ განვითარდებოდა?

- თავიდან ნამდვილად არ მიუიქრია, რომ ჩემი ცხოვრება და კარიერა ასე განვითარდებოდა, ყველაფერი დაუგეგმავად და სპონტანურად ხდება ხოლმე, რაც მერე ძალიან დიდი წლების პროექტად გადაიქცევა.

- რომელ ქვეყანას გამოარჩევ, რომელმაც შენი ინტერესი გამოიწვია?

- ყველა ქვეყანა ძალიან სამინისტრებისა. არ მინახავს ჯერ ქვეყანა, რომელსაც რაიმე ემოცია არ გამოეწვიოს, ეთიოპიაც, სამხრეთ აფრიკაც განსხვავებულია და უნიკალურია.

- საქართველო რა არის შენთვის?

- ჩემთვის მთელი მსოფლიო ორ ნაწილიდან იყოფა, საქართველო და სხვა დანარჩენი. ხაშური ცალკე სიცავარულია, ასე კარგად არსად ვგრძნობ თავს და ყველა ზაფხულს შევებულებას ოჯახთან ერთად აქ ვატარებ.

- ალბათ, როტულია დაგეგმო ცხოვრება და კარიერა.

- 2020 წლის აპრილამდე სამხრეთ აფრიკაში ვარ. ჩემი სამსახური ჯარს გაეს, სადაც ქვეყანას ვჭირდებით იქ ვართ. ძალიან ბევრგან გამომადგა, თუმცა ამ ნიშნით არ ხდება. მე რომელ ქვეყნებშიც მომიწია ცხოვრებამ და მუშაობამ, გეოგრაფიულადაც ძალიან დამორებულია ერთმანეთისგან. აბსოლუტურად განსხვავებულია ცხოვრების წესი, მეჩეთის ზოგადობა და კულტურა, ზოგადი შეხედულებებიც განსხვავებულია.

- რომ არა დიპლომატია, სად შეიძლება ყოფილიყო შაკო დათიაშვილი?

- ალბათ, მეცნიერებაში.

ხაშურის მხარეთმცოდნების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის - დალი ხაჩიძის ორი ნაშრომი წინა ნომერში იხილა მკითხველმა. დღეს მის მორიგ, ძალზე საინტერესო სამეცნიერო ნაშრომს გთავაზობთ, რომელიც 1818 წლისთვის, ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ ეკლესია-მონასტრების ქონებრივ მდგრადარეობას, მრევლის და გადასახადების რაოდენობას და სხვა საკითხებს ეხება. ვფიქრობთ, ნაშრომი არა მარტო სპეციალისტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც დააინტერესებს.

1811 წელს, რუსეთის საიმპერატორო კარმა, უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალია და საეგზარქოზოს უფლებებით დაუქვემდებარა რუსეთის ეკლესის სინოდს. საიმპერატორო ხელისუფლების მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმა თვალისწინებდა დიკასტერის შემნას, მას უნდა აღეწერა ეკლესია - მონასტრების ქონება, დაეზუსტებინა შემოსავალი, დაედგინა სასულიერო პირთა და მრევლის რაოდენობა, შემცირებინა სამდვდელოების რიცხვი და ადარ ეკურთხებინათ არავინ მდგრად სათანადო განკარგულებამდე.

ჯერ კიდევ 1807 წლის 7 ივლისის ბრძანებით, მთავარმმართებელმა გუდოვიჩმა, სოფლის დაბალი სამდვდელოება გაათავისუფლა თავადაზნაურთა ყმობისაგან და სხვა ბეგარა-დაგალებებისაგან. გათავისუფლებული სამდვდელოება კი სახაზინო უწევბაში მთაქცია და ამით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული ეკლესის დამოუკიდებლობის გაუქმების გზაზე. ასევე, 1808 წლის 7 ივლისის ბრძანებულებით, იკრძალებოდა მაღალი სასულიერო პირების ხელდასხმა. თუ ამის აუცილებლობა იყო, მაშინ იგი უნდა მომხდარიყო საიმპერატორო კართან შეთანხმებით, მაგრამ თუკი რომელიმე მდვდელმთავარი მოახდენდა სასულიერო პირის ხელდასხმას, სინოდი ამ გადატევებილებას გააუქმებდა. ამ უკანონი აქტით შეიზღუდა საქართველოს ეკლესის თავისთავადობა.

საქართველოს ეკლესია ამ დროისათვის ფლობდა დიდძალ ქონებას, სახნავ - სათეს მიწებს, ტყებს, სხევადასხება ქარხანას, თევზის სარეწ ადგილებს, წისქილებს, შენობებს და სხვა ქონებას. იგი იყო ეკონომიურად დამოუკიდებელი ერთული, ამის გამო მკეთრად განსხვავდებოდა რუსელი ეკლესისაგან, რომელიც რუსეთის ხელისუფლების ნაწილად იყო გადაქცეული და საერო ხელისუფლებისადმი დამორჩილებული. სწორედ, საქართველოს ეკლესის დამოუკიდებელი ეკონომიკური საფუძვლის მოშლა წარმოადგენდა იმპერიის ინტერესს.

ბუნებრივია, ზემოთ აღნიშნული რეფორმა განხორციელდდა ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. ცენტრალურ სახსტორო არქივში დაცულია მასალები ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული საეკლესიო რეფორმის შესახებ. იგი ითვალისწინებდა ეკლესიათა აღწერას, სოფლების მიხედვით კომლთა რაოდენობის ჩვენებას, მათ შორის ქართულის და სომხურის, რომელი სოფლები აკრაგს ამ სოფელს, სახაზინო იყო თუ საბატონო ეს სოფელი, თითოეული მათგანი რა მანძილზე იყო დაშორებული მეზობელი სოფლიდან, როგორ დებულობენ შესანახს მცხოვრებლებისაგან მდვდლები და ეკლესის მსახურები, რამდენს და სახელდობრ- რას, რამდენი მიწა ან სხვა სავარგული ქონდათ გამოყოფილი ეკლესიებს სახნავ-სათესად, რა ბეგარას იხდიდნენ ან რა სამუშაოს ასრულებდნენ ეკლესიის სასარგებლოდ მცხოვრებლები, შექმდო თუ არა ამ სოფელს თვითონ შეენახა ეკლესია და მისი მსახურები, თუ საჭირო იყო შეერთებოდა სხვა სოფლის ეკლესიას მრევლში.

ჩვენს რეგიონში, ამ პერიოდში, საეკლესიო ცხოვრება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. აღწერის მიხედვით, ეკლესია არ ფლობს მნიშვნელოვან ქონებას. არის მხოლოდ 2 საეკლესიო სოფელი-წალელი და ამისი შესაბამისად, 19 და 11 საეკლესიო კომლით, თესიაურშია 4 საეკლესიო კომლი, კაყაში - 1, ნაბატეგვში 2, სულ-37 კომლი. უნდა ადინიშნოს, რომ სხვა აღწერების მიხედვითაც დომინირებს საბატონო სოფლები, საბატონო გლეხების რაოდენობა, კი ბატონეგმიბი ძლიერდათ წარმოდგენილი. ამიტომაც არარის გასაკვირი, რომ აქ ეკლესია არ ფლობს დიდ ქონებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კამერალური აღწერით, რომელიც ამ პერიოდს დაემთხვა (1816-1818), 21 სოფლიდან, რომლის მონაცემებიც ჩვენ გვქონდა, 11 თავიდან იყო დასახლებული, დემოგრაფიული მდგრადერეობაც ბუნებრივია, არ იყო სახარბიელო. (ეს ცალკე, სერიოზული თემა).

აღწერა საინტერესო ცნობებს იძლევა, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, სოფლებში მოქმედი ეკლესიების „ოპტიმიზაციის“ პროცესის შესახებ. მოსახლეობის, შესაბამისად მრევლის შემცირების შემთხვევაში, როდესაც დაგება ეკლესის შენახვის პროცედურა, ნათლად ჩანს, სოფლის მოსახლეობის რეაქცია ამ მოვლენაზე, სოფელი წევეტს ეკლესის შენარჩუნების, მისი შესახვის სურვილს, ადგენს გამოსალებს, მდვდლების, ეკლესის მსახურების შესახად, ზოგიერთ სოფელში ასეთის არარსებობის დროს, ნაჩვენებია, რომელი სოფლის ეკლესის მრევლთან აქვთ მიერთების სურვილი.

გთავაზობთ, ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს ცალკეული სოფლების მიხედვით

საბატონო სოფელ იტრიაში აღრიცხულია სახაზინო გლეხი - 1 კომლი,

საბატონო - 2 კომლი, თავისუფალი, სხევადასხება წოდების - 1 კომლი. საეკლესიო

გლეხები ამ დროისათვის არ არიან. აქ არის, 1 მდვდლები და 2 ეკლესის მსახური.

არის ერთი ეკლესია, ეკლესიას აქვს ვენახი ნახევარდდიური, სახნავი მიწა თოხდიური, საიდანაც იღებენ შემოსავალს. სოფლის მცხოვრებლები საეკლესიო ბეგარას არ იხდიან.

ამ სოფლის მრევლზე მიერთებულია სოფელ ურთხვისა და ზინდისის მცხოვრებლები და შეადგენენ 15 კომლს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს ეკლესია უპირატესია მაზრაში არსებულთა შორის, იგი უწინდებულ რად დარჩა შტატში. (ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიის მიერ გატარებულ საეკლესიო რეფორმამდგრ, ეკლესიები და მდვდელმსახურები ჩარიცხეულ იქნენ მტატში, რეფორმის შემდგომ ნაწილი ეკლესიებისა გაუქმდა, ხოლო მდვდლები და ეკლესის მსახურები დაგენერირდა დარჩნენ შტატშე). ამ სოფლის გლეხები მორთხია დაუდგინეს მდვდლება დაეკლესის მსახურებს შესახანი, კომლი-

დან - თოთო კოდი ხორბალი, ნახევარი კოდი ქერი, 2 ქათამი, 20 კაპიკი ფულად, თოთო თუნგი დგინო. ცალკე აზნაურმა, თავისი ნამეტიდან - 25 კოდი ხორბალი, 10 კოდი ქერი, 20 ქათამი, 24 თუნგი დგინო, 10 კაპიკი ვერცხლით, აგრეთვე ეკლესიას დაენიშნა ცალკე, საწილე, საბოსტნე ადგილი ერთდღიური, ბადი მიწით.

საბატონო სოფელ ურთხვისა - 1 კომლი სახაზინო, 3 კომლი საბატონო, ორიც სხევადასხება წოდების თავისუფალი გლეხია. არის ერთი ეკლესია, თუმცა მდვდლების და საეკლესიო მარებობა დაფიქსირებული არ არის. სახნავ - საოცხი მიწები მითითებული არ აქვთ, შესაბამისად გლეხები არ იხდიან შერმომით ბეგარას.

ამ სოფლის მცხოვრებლები მათი ეკლესის გაუქმების გამო უერთდებიან სოფლის მცხოვრებლების მარებით გლეხის. არ აქვთ და არ ც შრომით ბეგარას იხდიან მცხოვრებლები.

სახაზინო სოფელ ზინდისში - 4 კომლი საბატონო, 1 კომლი თავისუფალი გლეხია. არის ერთი ეკლესია, რომელსაც სახნავ-სათესი მიწა არ აქვს და არ ც შრომით ბეგარას იხდიან მცხოვრებლები.

სახაზინო სოფელ სურამში - 16 კომლი ქართველი, 38 - სომები, (ყველა სახაზინო), 13 კომლი საბატონო (ყველა ქართველი), 4 კომლი თავისუფალი (ყველა ქართველი). ეკლესიების რაოდენობა - 2 ქართული, 2 სომხური. ერთი მდვდლები, 2 ეკლესიის მსახური. ეკლესიას არ აქვს მიწა ან სხვა სავარგული გამოყოფილი სახნავ-სათესად, მცხოვრებლები შრომით ბეგარას არ იხდიან.

სურამლებმა დაიტოვეს უწინდებურად ეკლესია, მათ მრევლში მოერთდნენ სოფელ ქემფრის მცხოვრებლები, მათ სოფელში ეკლესიის გაუქმების გამო და ერთად შეადგენენ 40 კომლს. (იგულისხმება ქართული ეკლესიის მრევლი-ქართველები - სურამის 33 კომლი, ქემფრის 7 კომლი) მდვდლებს და ეკლესიის მსახურებს, ქერძო და ერთობების გარდა, დაუნიშნება, კომლიდან: 1 კოდი ხორბალი, ნახევარი თუნგი დგინო, 1 კოდი ხორბალი, ნახევარი თუნგი დგინო, 20 კაპიკი ფულად.

საბატონო სოფელ ქემფრში - სახაზინო გლეხები - 1 კომლი, საბატონო გლეხები - 6 კომლი, (ყველა ქართველი). ერთი ეკლესია. მცხოვრებლები მათი სოფლის ეკლესიის გაუქმების გამო შეუერთდნენ სურამის ეკლესიის მრევლები-ქართველები - 1 კოდი ხორბალი, ნახევარი თუნგი დგინო, 1 კოდი ხორბალი, ნახევარი თუნგი დგინო, 20 კაპიკი ფულად.

საბატონო სოფელ ბეგამში - სახაზინო გლეხები - 4 კომლი, საბატონო გლეხები - 30 კომლი, სხევადასხება წოდების თავისუფალი-5 კომლი. აღრიცხუ



- გესია -

სკულპტორი „ჭადოსნერი ქალაქი“ მსმენელს შეხვდა

ამ დღეებში, ხაშურის სამუსიკო სკოლის დიდ დარბაზში გაიმართა სტუდია "ჯადოსნური ქალაქის" მოსწავლეთა შემოქმედებითი კონცერტი. მოსწავლეები სოლო ნომრებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. სტუდიის ხელმძღვანელი ხათუნა დვალაძე და პედაგოგი ოვარატიშვილი ძალისხმევას არ იშურებენ, რომ ბავშვებისთვის ყოველი დღე დღესასწაულად აქციონ.



ანსამბლი “თერესკა” - მორიგი ფესტივალი,
მორიგი - გრან-პრი

ანსამბლი “ფრესკა” (ხელმძღვანელი ელიო რატიანი), მორიგი წარმატებით დაგვიბრუნდა. ქობულეთში გამართულ ფესტივალზე “ნარინჯისფერი ქობულეთი” ანსამბლმა გრან-პრი მოიპოვა და გაზაფხულზე პოლონეთში მიემზავრება, სადაც ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის სახელს კიდევ ერთ წარმატებასთან დააკავშირებს. ადსანიშვანია, რომ ფესტივალში მონაწილეობა საქართველოს კავკასიური სტუდია იღებდა.

- ფეხბურთი -
ტურნირი, რომელიც გარდაცვლილი
ფეხბურთელების ხსოვნას მიეძღვნა



მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას 158-ე ნიბოსავს

საშურის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი განვითარების ცენტრის
და საშურის საბავშვო ბიბლიოთეკის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ
საზაფხულო სკოლაში სწავლა გრძელდება. სკოლის მოსწავლეებმა, ამ
დღეებში, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 158 წლის იუბილე სიმბოლურად
აღნიშნეს. საბავშვო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა აღაჯანოვმა
ბავშვებთან ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიაზე და შემოქმედებაზე ისაუბრა.
მათ ერთად წაიკითხეს საინტერესო ისტორიები და მოთხოვდები ვა-
ჟას შემოქმედებიდან. სკოლის მოსწავლეებისთვის ასევე მოეწყო ვაჟა-
ფშაველას ერთ-ერთი მოთხოვდების მიხედვით გადაღებული ანიმაციური
ფილმის “ბულდულის იუბილე”ს ჩაინიება.



დიანა კომლაძის ხსოვნას

კველაფერი ხომ ხშირად ერთ დღეს ხდება. ეს დღე კი მაშინ მშვენიერი იყო, აბა რა, ჩვენთან ხომ მზესავით გოგო შემოფრთხიალდა, ლამაზი, მოხდენილი, კისკისა. მაღვე, სულ მაღვე დიანა ჩვენი კოლექტივის თბილი გული გახდა, კეთილი, მზრუნველი, ერთგული, დასაყრდენი, პასუხისმგებლობით სავსე გოგო ბოლომდე, უკანასკნელ პოსუნონაშვილე.

არ იყო მომენტი, ვინგეს დარღვა თუ ტკივილს გაქცევდა, ედალატა პედაგოგიური საქმიანობის, თითოეული მოსწავლისა თუ ჩვენი სასკოლო ოჯახის წევრებისთვის. ეს მისი აღმოჩეული თვისება და ცხოვრების წახი აახლდათ.

წვერი დიანა, საუცხოო შვილი, მეგობარი, მასწავლებელი, მეუღლე, გამორჩეული, მისაბადი დედა.

დიანა, მუხლს ვიყრით შენი შემართების, ბრძოლის უნარის, გამდლეობისა და არნაცუ-
ლი შეაპირობის წინაშე. არ არაა აღმართული იმათს სკოლების შენარჩუნაბისა, იმ სკოლებ-

და სერგეი მარკოვი უნდა იყოს, რომ კარგი დღი იყო მათ დღის მიზანისთვის, მაგრამ მათ დღის მიზანისთვის უნდა იყოს მათ დღის მიზანისთვის.

სევდა მოდიოდა, ისიც საიდახლაც, წვეთწვეთობით გროვდებოდა, იზრდებოდა და დარღის დიდი ზღვად, ოკეანედ ქცეული, ნელ-ნელა გვაშორებდა ერთმანეთს. ძალიან გვეშინოდა ამ დაშორების, ამ დღის, ამ წამის.

შენი იმედიანი თავდაქტერა და მხენობა, თითქოს, ჩვენც არ გვაძლევდა დაცემის, დაწოქებისა და დამარცხების უფლებას.

კველაფერი ხომ ჩშირად ერთ დღეს ხდება... ეს დღე კი ახდა მშვენიერი სულაც არაა. გაფრინდა ჩვენი მზესაცით გოგო ამ ქვეყნიდან და მარადისობას შეუერთდა.

წევნ ფი დანას სიყვარული და ტკიფილიანი მონატრება დაგვრჩა ამ დარღად, ქცეულ წუთისოფელში.

გვიყვარხარ! უფალმა დაგიმკვიდროს სასუცეველი!

ხაშურის N1 საჯარო სკოლის პედაგოგური კოლექტივი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური ჭაბიძის ქუჩა №2 ტელეფონი: 24 30 27

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახლმდებარებულის სახელი: TRESGE22, სახელის კოდი: 749547499

Р-ოп մեռնավորություն կատարելու դաշտում

ପାଞ୍ଚମୀ ଲେଖକଙ୍କା ଅନୁଷ୍ଠାନିକିତରେ

രാത്രേ പഠി നുണ്ട് നുണ്ടായാ മനസ്സിലെ